

გზამკვლევი სკოლაში ნარჩენების აუდიტის ჩასატარებლად



მსოფლიოში ყოველდღიური ნივთების უმეტესობას პლასტმასა წარმოადგენს. პლასტმასა პოლიმერებისგან შემდგარი ნაერთია, რომელსაც ძირითადად შესაფუთი მასალისა და ერთჯერადი მოხმარების ნივთების წარმოებისთვის იყენებენ. დიდი ნაწილი წარმოებული პლასტმასისა არ ექვემდებარება გადამუშავებას და ის გარემოში წარჩენების სახით გროვდება ასეული წლის მანძილზე. ცნობილია, რომ დღეისათვის მსოფლიოში წარმოებული პლასტმასის მხოლოდ 9% გადამუშავდება. ყოველწლიურად 8 მილიონი ტონა პლასტმასა გროვდება ოკეანეებში, რაც საფრთხეს უქმნის წყლის ბინადრებს და ნეგატიურად მოქმედებს მსოფლიოს ბიომრავალფეროვნებაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია შევამციროთ მისი მოხმარება და ვიპოვოთ გადანყვეტის გზები პლასტმასის გამოყენების თავიდან არიდების მიზნით.



სკოლებში პლასტმასის ნარჩენების შემცირების გზამკვლევი



ნაბიჯი 1

ნარჩენების აუდიტი

ნაბიჯი 2

ნარჩენების წყაროების
მოძიება

ნაბიჯი 3

ნარჩენების პრიორიტეტიზაცია და პლასტმასის
ალტერნატივების მოძიება

ნაბიჯი 4

გადანყვეტები პლასტმასის
შემცირების მიზნით

ნაბიჯი 5

კომუნიკაცია

ნაბიჯი 1 - ნარჩენების აუდიტი

ერთჯერადი მოხმარების პლასტმასის იდენტიფიცირებისთვის, უპირველეს ყოვლისა საჭიროა ჩატარდეს ნარჩენების აუდიტი, რაც გულისხმობს სკოლაში წარმოქმნილი სხვადასხვა სახის ნარჩენის იდენტიფიცირებას, კატეგორიზაციასა და რაოდენობრივი ინფორმაციის შეგროვებას.

მოიკვლიეთ სკოლის სხვადასხვა სივრცე: კაფეტერია, ლაბორატორია, სპორტდარბაზი, სასწავლო ოთახი, ბიბლიოთეკა და ყველა ის დეპარტამენტი, რომელიც იყენებს ერთჯერადი მოხმარების პლასტმასას.

ამისათვის დაგჭირდებათ:

1. ხელთათმანები
2. თაბახი ან გაბეთი, სადაც განათავსებთ ნარჩენს
3. ცხრილი ნივთების აღრიცხვისთვის
4. ურნიდან შეგროვებული ნარჩენი
5. სასწორი



რა უნდა გააკეთოთ:

1. შეაგროვეთ ნარჩენი ერთი ურნიდან
 2. გაანალიზეთ ნარჩენი თაბახზე
 3. ამის შემდეგ, განაცალკევეთ პლასტმასა: ბოთლი, საწრუპი, კონტეინერი, ჩუპა-ჩუპსის ჯოხი...
 4. აწონეთ ან დათვალეთ რაოდენობა თითოეული ნარჩენის განსაზღვრული კატეგორიის მიხედვით
 5. შეიტანეთ აღნიშნული ინფორმაცია ცხრილში
- ჩაატარეთ აუდიტი სკოლის თითოეულ დეპარტამენტში მოცემული მეთოდით
 - მიღებული მონაცემები დააჯამეთ და გამოთვალეთ ჯამში რა რაოდენობის პლასტმასა მოიხმარება სკოლაში ყოველთვიურად/ყოველკვირეულად
 - შედეგები შეგიძლიათ აღბეჭდოთ ფოტომასალის სახით. ამასთანავე, შესაძლებელია წარადგინოთ თითოეული დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაცია იმის შესახებ თუ, რა რაოდენობის პლასტმასის შექმნა და მოხმარება ხდება მათ მიერ.



ყოველთვის ყურადღებით იყავით
სახიფათო ნარჩენებთან!

საინფორმაციო ცხრილი პლასტმასის აუდიტისთვის

სივრცე, სადაც განთავსებულია ნარჩენების ურნა	
აუდიტის ჩატარების თარიღი	

ნარჩენის კატეგორია	ნივთის რაოდენობა	ნივთის წონა	ერთ კვირაში გამოყენებული პლასტმასის ჯამური წონა
პლასტმასა			
ბოთლი			
კონტეინერი			
ერთჯერადი დანა-ჩანგალი			
საკვების შეფუთვა			
სანრუპი			
.....			
.....			
.....			
სხვა			
ჯამი			

ნაბიჭი 2 - ნარჩენების წყაროების მოძიება

→ აუდიტის ჩატარების შემდეგ, დაადგინეთ წარმოქმნილი ნარჩენის წყაროები: გარკვეით, შეგროვებული პლასტმასის ნივთები სკოლის ტერიტორიაზე იყიდება თუ სახლიდან არის მოტანილი. ამასთანავე, აღნიშნეთ თუ რა ტიპის პლასტმასა შეგროვდა და რა რაოდენობა იყო მათგან ერთჯერადი გამოყენების.

ნაბიჭი 3 - ნარჩენების კრიორითიტიზაცია და პლასტმასის ალტერნატივების მოძიება

→ მიღებული მონაცემებიდან გამომდინარე, განსაზღვრეთ რომელი პლასტმასის ნაკადზე იმუშავებთ

მოიძიეთ ერთჯერადი გამოყენების პლასტმასის ალტერნატივები. მოიფიქრეთ, თუ რა გზით შეიძლება შემცირდეს სხვადასხვა დეპარტამენტში პლასტმასის გამოყენება. (ერთჯერადი პლასტმასის ბოთლების თერმოსით ჩანაცვლება, საწრუპებზე, ერთჯერად დანა-ჩანგალსა და პოლიეთილენის პარკებზე უარის თქმა). განხორციელებული აქტივობის შემდეგ, კვლავ ჩაატარეთ აუდიტი და აღნიშნული შედეგი კვლავ ცხრილის სახით წარმოადგინეთ.

როგორ შევამციროთ პლასტმასის ნარჩენი

პლასტმასის ერთჯერადი მოხმარების ნივთები, რომელთა გამოყენებაც თქვენი უნდა აკარიღოთ

არაკლასტმასის მრავალჯერადი მოხმარების ალტერნატივები

✗				✓
✗				✓
✗				✓
✗				✓

ნაბიჭი 4 - გადაწყვეტიები პლასტმასის შემცირების მიზნით



- განერეთ გეგმა, თუ როგორ აპირებთ შედეგის მიღწევას
- რა სახის აქტივობების განხორციელებას გეგმავთ
- განსაზღვრეთ აქტივობების განრიგი
- წარუდგინეთ თქვენ მიერ ჩატარებული აუდიტის შედეგები სხვა სკოლის მოსწავლეებს
- მოითხოვეთ ცვლილებები სკოლისგან - შეამციროს პლასტმასის მოხმარება
- მოიფიქრეთ რამდენიმე კრეატიული აქტივობა, რომელიც წახალისებს მოსწავლეებს ჩაერთონ გამონვევაში
- ჩაატარეთ ტრენინგები პლასტმასის ნარჩენების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით

ჩართე გამოწვევაში!

აირჩიე ერთი ნივთი, რომელსაც ახალ დანიშნულებას მოუძებნი ან გამოიყენებ მრავალჯერადად! შესაძლოა ეს ნივთი იმ კატეგორიიდან იყოს, რომელიც ნარჩენების აუდიტის ჩატარების შემდეგ, ყველაზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ან უბრალოდ აირჩიე შენთვის საინტერესო ნივთი, რომლის მოხმარებასაც შეამცირებ!



უარი თქვი სანრუპზე!

დაფიქრდი, რამდენად საჭიროა სანრუპის გამოყენება წველის დაღვევისას? ატარე სკოლაში შენი საყვარელი სასმელი მრავალჯერადი გამოყენების ბოთლით და სურვილის შემთხვევაში გამოიყენე მეტალის სანრუპი.



ერთი ცალი სანრუპის დაშლას გარემოში 200 წელი სჭირდება. ყოველწუთიერად მსოფლიოში მინიმუმ 350.000 ცალი პლასტმასის სანრუპი ხვდება ნაგავსაყრელზე, რაც ბუნებაზე უარყოფითად მოქმედებს და დედამიწის ბიომრავალფეროვნებას საფრთხის ქვეშ აყენებს.



ჩაანაცვლე პლასტმასის ბოთლი თერმოსით!

თუ სკოლაში ყოველდღიურად წყალს პლასტმასის ბოთლით ყიდულობ, ჩაანაცვლე ის თერმოსით, რომელსაც მრავალჯერადად გამოიყენებ. ამით შენ თანხასაც დაზოგავ და ბუნებაზეც იზრუნებ. თან, თერმოსში წყლის ტემპერატურა მთელი დღის განმავლობაში ნარჩუნდება და მისი ბევრჯერ გამოცვლაც არ მოგიწევს.



იცოდი, რომ პლასტმასის ბოთლში არსებობს მიკრო ნაწილაკები, რომლებიც მიკროპლასტმასის სახელითაა ცნობილი? ერთ-ერთი კვლევის თანახმად დადგინდა, რომ ჩვენს სხეულში ყოველკვირეულად სხვადასხვა პლასტმასის ნივთის მოხმარების შედეგად საშუალოდ 5 გრამი მიკროპლასტმასა ხვდება.

საინტერესო ინფორმაცია



ატარე ლანჩი მრავალჯერადი კონტეინერით

პლასტმასის ერთჯერადი კონტეინერები როგორც ჯანმრთელობისთვის, ისე გარემოსთვისაც საზიანოა. ამიტომ, ხშირად მათ მუყაოს კონტეინერებით ანაცვლებენ. იცოდი, რომ ხშირად ქალაქის კონტეინერების შიდა ზედაპირი სპეციალური ნივთიერებით არის დაფარული, რომელიც ტოქსინებს შეიცავს? თუ სკოლის კაფეტერიაში საკვებს ერთჯერადი პლასტმასის შეფუთვით არიგებენ, შეგიძლია მოითხოვო მათი შეცვლა ისეთი მრავალჯერადი გამოყენების ჭურჭლით, რომელიც გაირეცხება და ხელახლა იქნება გამოყენებული.



დღე ნარჩენის გარეშე

აირჩიეთ კვირაში ერთი დღე, როცა მოსწავლეები სკოლაში ლანჩს პლასტმასის შეფუთვის გარეშე მოიტანთ. აქციით ტრადიციად და გაუზიარეთ გამოცდილება სხვა კლასის მოსწავლეებსაც. მსგავსი აქტივობები კარგი საშუალებაა გარემოსდაცვითი კულტურის დასანერგად. ლანჩის დროს წარმოქმნილი საკვების ნარჩენებისგან გააკეთეთ კომპოსტი. გარდა ამისა, ეცადეთ ნებისმიერი აქტივობის დროს მინიმალური რაოდენობის ნარჩენი წარმოქმნათ. მაგალითად, არ გადაყაროთ კალმები, თუ მელანი ჯერ კიდევ დარჩენილია. დაზოგეთ ქალაქი - მუშაობისას გამოიყენეთ ფურცლის ორივე მხარე, დღის ბოლოს კი შეაფასეთ წარმოქმნილი ნარჩენი. დაიხმარეთ და ჩართეთ მწვანე ინიციატივებში მასწავლებლებიც.




△ გახსოვდეს! ხეშირად ბიოდეგრადირებადი ნივთები სახიფათოა გარემოსთვის.
აირჩიე მრავალჯერადი ან კომპოსტირებადი ალტერნატივები.

ნაბიჭი 5 - კომუნიკაცია

- სკოლაში ახალი პროექტის დაწყებისას უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია მოსწავლეების დაინტერესება. აქტივობების დაწყებამდე შეამზადეთ სკოლის საზოგადოება და აჩვენეთ მათ, თუ რა ზიანს აყენებს გარემოს დაბინძურებით გამოწვეული შედეგები დედამიწის ბიომრავალფეროვნებას. წარადგინეთ ინიციატივა ნარჩენების შემცირების დაწყების შესახებ და დაიხმარეთ ადმინისტრაცია ინფორმაციის გავრცელებაში.
- კარგი იქნება, თუ სანყის ეტაპზე ჩაატარებთ გამოკითხვას სკოლის მასშტაბით და გაიგებთ მოსწავლეების ცნობიერების დონეს ნარჩენების შესახებ. ამგვარი კვლევითი სახის აქტივობა დაგეხმარებათ სამუშაო ჯგუფების სწორად შერჩევასა და თანამოაზრეების მოძიებაში. გარემოს დაცვით დაინტერესებულ მოსწავლეებთან ერთად შეგიძლიათ დააარსოთ ეკო-კლუბი, რომლის ფარგლებშიც დაგეგმავთ და განახორციელებთ მრავალფეროვან აქტივობებს.



- ცნობიერების ამაღლების მიზნით ეკო-კლუბის წევრებს შეგიძლიათ ჩაატაროთ თემატური გაკვეთილები, ქვიზები, ვიქტორინები, კონკურსები, საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები, დააორგანიზოთ დასუფთავების აქციები. ამასთანავე, სოციალური მედია არხების გამოყენებით შესაძლებელია ციფრული მედია კამპანიების დაგეგმვა - გამოიყენეთ სკოლის სოციალური გვერდი, გაავრცელეთ საინფორმაციო პოსტერები, ვიდეოები. მოაწყვეთ თემატური გამოფენები პლასტმასით დაბინძურებით გამოწვეული პრობლემის დემონსტრირებისთვისა და ინფორმირებულობის გაზრდისთვის.
- ეცადეთ, მუდმივად აღბეჭდოთ და აღწეროთ თქვენს მიერ ჩატარებული აქტივობები - გადაიღეთ ფოტოსურათები. ხშირად გააზიარეთ თქვენი მიღწევები და შედეგები. ისაუბრეთ თქვენს გამოცდილებაზე და გადაჭრის გზებზე, რომლებსაც მუშაობის პროცესში მიმართეთ.
- გახსოვდეთ, ყოველთვის შეგიძლიათ დაიხმაროთ მასწავლებელი, მიმართოთ სკოლის ადმინისტრაციას და მოითხოვოთ საჭირო რესურსი აქტივობების ჩასატარებლად. საჭიროების შემთხვევაში, სკოლას შეუძლია მიმართოს ადგილობრივ მუნიციპალიტეტს მწვანე ინიციატივებისა და პროექტების მხარდასაჭერად.




ნარმატიული მაგალითები

თბილისის #169 საჯარო სკოლა

საინტერესო ინიციატივას ჩაეყარა საფუძველი SOS Plastic კონკურსის გამარჯვებული თბილისის #169 სკოლის მოსწავლეების მიერ. მათ შექმნეს აპლიკაციის პროტოტიპი, რომლის საშუალებითაც მომხმარებელს შეუძლია საკუთარი პლასტმასის ნაკვალევი გამოითვალოს. აპლიკაციის მთავარ გვერდზე მოცემულია საინტერესო და სასარგებლო ინფორმაცია პლასტმასის შესახებ. მომხმარებელი გადის რეგისტრაციას და შემდეგ ავსებს კითხვარს. კითხვარში თითოეულ შეკითხვას მინიჭებული აქვს თავისი ქულა. საბოლოოდ დაგროვებული ქულების მიხედვით მომხმარებელი იაზრებს რა სახის ზიანს აყენებს გარემოს. თუ მისი პლასტმასის ნაკვალევი დიდია, იქვეა რჩევა თუ რა უნდა მოიმოქმედოს მის შესამცირებლად.

<https://www.jotform.com/app/241454853804459/>



გამოთვალე შენი პლასტმასის ნაკვალევი

გთხოვთ, უპასუხოთ კითხვებს გულწრფელად *

	უველილოები(10 ქულა)	იზრდიან(5 ქულა)	არსდროს (0 ქულა)
რამდენად ხშირად იყენებ მრავალჯერადი გამოყენების წელის ბოთლს?	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>
მდებარეობს მრავალჯერადი გამოყენების ჩანთით დედებურ	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>
ვედილობ ისეთ პროდუქტებს, რომელიც არ წარმოიშობება ბევრ ნარჩენს	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>
ვედილობ მაქსიმალურად ავირიდო თავი ერთჯერადი ნივთების მოხმარებას	<input type="radio"/>	<input type="radio"/>	<input type="radio"/>

ჩემ მიერ დღის განმავლობაში წარმოქმნილი ერთჯერადი პლასტმასის ბოთლის რაოდენობაა:

0-1 (10 ქულა)

2-4 (5 ქულა)

5+ (0 ქულა)

გორის #9 საჯარო სკოლა

გორის #9 საჯარო სკოლამ მრავალფეროვანი აქტივობები განახორციელა კონკურსის მიმდინარეობისას. მათი მიზანი პრაქტიკული და თეორიული აქტივობების ჩატარების გზით პლასტმასით დაბინძურების შესახებ ცნობიერების ამაღლება და პლასტმასის ნარჩენების შემცირების კუთხით მდგრადი შედეგების მიღება იყო. მონაწილე გუნდმა

რამდენჯერმე ჩაატარა პლასტმასის ნაკვალევის აუდიტი, რის შემდეგაც აღმოჩნდა, რომ სკოლაში ყოველდღიურად წარმოქმნილი პლასტმასის ნარჩენი 75%-ით იყო შემცირებული. აღნიშნული შედეგი განპირობებული იყო მოსწავლეების გადანყვებილებით - ჩაენაცვლებინათ ერთჯერადი პლასტმასის ჭიქები მრავალჯერადი გამოყენების თერმოსით.



საჩხერის #2 საჯარო სკოლა

პოლიეთილენის პარკების გამოყენებისგან თავის არიდების მიზნით SOS Plastic კონკურსში მონაწილე საჩხერის #2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა გადანყვიტეს მოეფიქრებინათ ალტერნატიული გზა პრობლემის გადასაჭრელად. მათი მონაწილეობით დამზადდა მრავალჯერადი ნაჭრის ჩანთები, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეამცირა ყოველდღიურად

პოლიეთილენის მოხმარება. აღნიშნულმა ინიციატივამ გამოიწვია სკოლაში გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის კულტურის დანერგვა.



მრავალი გზა არსებობს პლასტმასაზე უარის სათქმელად. თავდაპირველად შეიძლება რთულად მოგეჩვენოს ყოველდღიური მოხმარებიდან პლასტმასის ნივთების სრულიად ამოღება. თუმცა გახსოვდეს, რომ მთავარია, დაიწყო!

შენ უკვე გაეცანი პლასტმასის ნაკვალევის აუდიტს, მიიღე რჩევები პლასტმასის მოხმარების შემცირებაზე და იცი, თუ როგორ შეგიძლია დაეხმარო დედამიწას.

დაიწყე მოქმედება! გაუზიარე ეს გზამკვლევი მეგობრებს და უარი თქვი პლასტმასაზე!

გახსოვდეს, ჯანსაღ გარემოში ცხოვრება შენი უფლებაა!

სკოლაში პლასტმასის ნარჩენების შემცირების გზამკვლევი შეიქმნა CENN-ის ინიციატივით, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ნორვეგიის მხარდაჭრით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით, პროექტის „შეაჩერე პლასტმასით დაბინძურება საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც UNDP-სა და ნორვეგიის უფრო ფართომასშტაბიანი პროგრამის „ლიდერობა, თანასწორობა, ადვოკატირება, დემოკრატია“ (LEAD) ნაწილია

